ხელშეკრულება № 2

„04" იანვარი 2015 წ.

ქ. გორი

[illegible] (შემდგომში-შემსყიდველის), წარმოდგენილი მისი დირექტორის [illegible] -სახით და მეორეს მხრივ შპს **გორი 21-ე საუკუნე დირექტორი** თამაზ ზაზმიშვილი (შემდგომში - მიმწოდებელი), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით დებთ სახელმწიფო შესყიდვების წინამდებარე ხელშეკრულებას

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ~~ხილ-ბოსტნეულის~~ და ნახევარ ფაბრიკატებით მომარაგება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია სასაქონლო ზედნადებში ან/და მითება ჩაბარების აქტში, რომელიც წარმოადგენილი იქნება შესყიდვის დროს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება CPV 031, 032, 154, 155, 156, 158, 157, 152, 196, 337, 392, 393, 395

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს სასაქონლო ზედნადების ან/და შესყიდვის აქტის შედეგად მირებულ საქონლის ღირებულებას ეროვნულ ვალუტაში. 4500 ლარი

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას, საქართველოს კონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მირება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბვარების აქტია ანდა ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა.

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოდს ხელშეკრულების დადებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ყოველი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10(ათი) დღის ვადაში საკუთარი ხარჯით, მიმწოდებლის მისამართზე ქ. გორი, ჯორბენაძის 37.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ„ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვერელად და მოსთხოვოს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და წივთობრივად უწაკლო, ახალი და სათანადო შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) სამუსაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლისა ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.;

მუხლი 6. პირგასამტეხლო.

6.1. ხელსეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულებების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში- ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შმსყიდველი უფლებამოსილია სეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

...ულები 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდგენ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელსეკრულება დადებულა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა.

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულები მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 13. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარე არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს გორი 21- საუკუნე	№ 5 ქ/ბეჭდი
მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ #37	
საიდენტიფიკაციო კოდი: 417877952	საიდენტიფიკაციო კოდი: 218078210
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
პროკრედიტ ბანკი –გორის ფილიალი	...ბანკი
ანგარიშსწორების ანგარიში : №GE88 PC 0143600100034520	ანგარიშსწორების ანგარიში : GE70LB0120110263487000
დირექტორი	დირექტორი
თ. მაზმიშვილი	